



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 1925150001

თარიღი:30/05/2025

განკარგულება №47

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 6 მაისის №18-182512659 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1

ცნობად იქნეს მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გვედუხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

